ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №206159

ნომერი: AR157067

თარიღი : 07.06.2012

გაცემის თარიღი : 12.06.2012

გაცნობის თარიღი : 21.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეზიროვი , N 16 , (ნაკვ. 6/18) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით თუთბერიძე პ/ნ 01024081531
- ს.ჩიქოვანის 24 ბ 53

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202899300
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ჭუმბურიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ჯი არ სი"

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: იბა "ვეზიროვის 16"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204527057
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024081531

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით თუთბერიძე

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/4063-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.12.2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 დეკემბრის 01/3891 ბრძანებასა და ნ/4063–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 22 დეკემბრის 01/3891 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – კრწანისი ), ვეზიროვის ქ. 16–ში, ი.ბ.ა. "ვეზიროვის 16"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი
საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა ნ/4063–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაშია 2012 წლის 27 ივნისამდე.
2012 წლის 07 ივნისს AR157067 განცხადებით მომართა დამკვეთმა, მოქ. დავით თუთბერიძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ვადის გაგრძელების მიზნით დამატებით 6 თვის ვადით, 2011 წლის 22 დეკემბრის 01/3891 ბრძანებასა და ნ/4063–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში
მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.
სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 დეკემბრის 01/3891 ბრძანებასა და ნ/4063–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 27 ივნისის ჩათვლით", შეიცვალოს "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით".
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 დეკემბრის 01/3891 ბრძანებასა და ნ/4063–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

---

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.